

„დამტკიცებულია“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის _____ იანვრის
N_____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული
ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში
კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება არეგულირებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარებისა და სტაჟირების მსურველთა (შემდგომში - კონკურსანტი) განაცხადების განხილვის წესს, კომისიის უფლებამოსილებას, კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმებს, ფულადი დახმარების გაცემისა და ანგარიშგების წესს.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.

3. კონკურსს ატარებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი კომისია.

4. ქვეპროგრამა „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“/ლონისძიება „უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“ ითვალისწინებს ახალგაზრდების მხარდაჭერას, რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას გაივლიან აშშ-ში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე თურქეთსა და შვეიცარიაში.

5. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 2018 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ 18-დან 29 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ფლობს არანაკლებ ერთ უცხო ენას და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს სტაჟორად მოწვევის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათთვის დამატებითი სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობის მიცემა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდა.

მუხლი 3. წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში - მერია) განაცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა;

ბ) საერთაშორისო პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

გ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სარეკომენდაციო წერილი;

ე) მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3×4);

ზ) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.

თ) განათლების დამადასტურებელი საბუთი ან ცნობა სამსახურიდან, ხოლო თუ სტაჟირების მსურველი სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ცნობა ამ დაწესებულებიდან.

2. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული.

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. ფინანსური დახმარების ოდენობა და მიზნები

1. კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული ბენეფიციარი მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2 000 ლარისა, ერთჯერადი გასაცემლის სახით.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირს აუნაზღაურდება შემდეგი ტიპის ხარჯები: მგზავრობის, ვიზის, დაზღვევისა და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაწესებული სარეგისტრაციო ხარჯები.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;

ბ) დოკუმენტების განხილვა და გასაუბრება - მეორე ეტაპი.

2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25).

3. კონკურსანტის მიერ შემოტანილი განაცხადი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით გადაეცემა განათლებისა და კულტურის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

4. განყოფილება:

ა) შეისწავლის კონკურსანტის განაცხადს და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი);

ბ) არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, აცნობებს კონკურსანტს აღნიშნულის შესახებ განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად;

გ) კომისიის წევრებს ელექტრონულად უგზავნის განსახილველად შემოსულ განაცხადებს;

დ) კომისიაში წარსადგენად ამზადებს მოხსენებითი ბარათის პროექტს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

5. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია არ განიხილავს კონკურსანტთა განაცხადებს.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

2. შემოსული განაცხადები განიხილება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისია:

ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას), ატარებს გასაუბრებას და ახდენს მათ შეფასებას;

გ) წარუდგენს მერს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

3. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

4. კონკურსანტთა შეფასება ხდება, 0-10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) კონკურსანტის მოტივაცია;

ბ) პრიორიტეტულობა;

გ) აქტუალურობა;

დ) სტაჟირების ხანგრძლივობა;

ე) მოსალოდნელი შედეგი;

ვ) თანადაფინანსება.

5. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.

6. დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწევა იმ კონკურსანტს, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

7. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

8. კომისიის რეკომენდაცია აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 8. კონკურსანტებზე ფინანსური დახმარების გაცემა

1. კომისიის რეკომენდაცია, სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარედგინება მერს.

2. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებულ პირებზე დახმარების გაცემის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია წერილობით ეცნობება კონკურსანტებს.

3. მერის ბრძანების საფუძველზე, ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კონკურსში გამარჯვებულ პირთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც ამზადებს სამსახური და ხელს აწერს კურატორი მერის მოადგილე და კონკურსში გამარჯვებული პირი.

4. სამსახური, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უგზავნის მოხსენებით ბარათს კონკურსში გამარჯვებულ პირზე დახმარების გაცემის მოთხოვნით. მოხსენებით ბარათს

თან უნდა დაერთოს კონკურსში გამარჯვებული პირის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტი და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

მუხლი 9. კონკურსანტის/ სტაჟიორის ვალდებულებანი

1. კონკურსანტი ვალდებულია მერიის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს მოცემული წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და გასაწევი ხარჯების დამადასტურებელი მასალები.

2. სტაჟირების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა, სტაჟიორმა მერიაში უნდა წარმოადგინოს სტაჟირების პერიოდის ამსახველი მასალები (მათ შორის ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი ანგარიში).